საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 28 მაისი, 2012 წელი

გადაწყვეტილება № 1

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 48-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებისა და აკადემიური საბჭოს 28 მაისის № 120 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

– 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი სწავლების ყველა საფეხურზე დაიწყოს 17 სექტემბერს, ორშაბათს და დამთავრდეს 2012 წლის 28 დეკემბერს, პარასკევს.

– დავალიანების დაფარვის ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

– შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.

– საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2012 წლის 30 დეკემბრიდან 2013 წლის 10 იანვრამდე;

– მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2013 წლის 10 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით;

– შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2013 წლის 15 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით.

– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 29 იანვრიდან 04 თებერვლის ჩათვლით.

– გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 04 თებერვლიდან 11 თებერვლამდე;

– გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2013 წლის 11 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2013 წლის 31 მაისს, პარასკევს.

– მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2012 წლის 3 ივნისიდან 8 ივნისის ჩათვლით;

– გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2013 წლის 10 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით;

– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2013 წლის 25 ივნისიდან 01 ივლისის ჩათვლით;

– კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2013 წლის 25 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით.

– სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები, ფაკულტეტებთან შეთანხმებით, შეიძლება ჩატარდეს ორ ცვლაში, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა და დაიწყოს დილის 09 საათზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით დასაშვებია შაბათ-კვირას სალექციო-სააუდიტორიო და ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარება;

- აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი - 10 წუთით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**